თემა 23

სივრცეში ორიენტირება

Ориентация в пространстве

ამოცანები:

- მოსწავლეები ისწავლიან როგორ იკითხონ ადგილმდებარეობა და სხვებსაც აუხსნან მიმართულებები
- მოსწავლეები გამოიყენებენ შემდეგ კითხვით ფორმებს: "სად არის..?", "როგორ მოვხვდე...?"
- ადგილმდებარეობის ასახსნელად და მიმართულებების მისაცემად ისინი გამოიყენებენ შემდეგ ფრაზებს: "იარეთ პირდაპირ", "შეუხვიეთ მარჯვნივ", „წადით უკან" და ა.შ.
- ადგილმდებარეობასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხისთვის მოსწავლეები გამოიყენებენ თანდებულებს.
- ვასწავლთ ზმნიზედები: მარჯვნივ, მარცხნივ, პირდაპირ, უკან; ზედსართავები: მაღალი...

გაკვეთილ(ებ)ის მიმდინარეობა

1. მასწავლებელი კითხულობს / ასმენინებს ბავშვებს ტექტს.

ამბავი:

ლიზა და ნიკა მიდიან სტადიონზე თამაშის სანახავად. მათ არ იციან სად არის სტადიონი და უჭირთ მოძებნა. ამიტომ ისინი ქუჩაში ორ უცნობს აჩერებენ და სთხოვენ აუხსნან მიმართულებები თუ როგორ მოხვდნენ სტადიონზე.

2. მასწავლებელი იძახებს 2 ბავშვს და სთხოვს, კედელზე გაკრული ნახატი-რულის მიხედვით, გაილვლიონ გზა სტადიონისკენ. მასწავლებელი უშუალოდაა ჩართული პროცესში.

3. თამაში # 29-1

მე ვარ, შენ ხარ

ბავშვები სხედან წრეზე. პირველი ამბობს: მე გიორგი ვარ, მასწავლებელი კითხულობს: ვინ ზის შენ მარჯვნივ? სწორი პასუხის შემთხვევაში, ბავშვი ასახელებს მეზობლის სახელს. შენ ანიტა ხარ. ანიტა აგრძელებს: მე ანიტა ვარ შენ მოსე ხარ. და ასე გრძელდება მთელს წრეზე.

შემდეგ თამაში გრძელდება „ვინ ზის მარცხნივ“ კითხვით.

იმისთვის ,რ ომ ლექსიკა გაიზარდოს შეგიძლიათ მოსწავლეებს სურათები დაურიგოთ. მაგალითად , ანიტას ექნება ცურვის, ხოლო გიორგის თევზაობის სურათი. პირველი იტყვის: მე მიყვარს ცურვა, გიორგის უყვარს თევზაობა. და ა.შ.

4. თამაში # 29-2

ახლა ბავშვებს ვსვამთ სამ რიგად. თამაშში შემოდის ორი კითხვა: „ვინ ზის შენ წინ?“ და „ვინ ზის შენ უკან?“

5. თამაში # 29-3

ჩემგან მარჯვნივ დაჯდეს: ვსხდებით წრიულად. ერთი სკამი თავისუფალია მოთამაშე, რომელიც ზის ამ სკამისგან მარცხნივ,
ამბობს:-„ჩემგან მარჯვნივ დაჯდეს ის, ვისაც... „ (მაგ, ”უყვარს ხატვა”). რამდენიმე მონაწილე წამოხტება და შეეცდება სკამზე დასხდომას. ერთი ჯდება, დანარჩენები იკავებენ სხვა სკამებს. ამჯერად თამაშს აგრძელებს ის მონაწილე, ვის ხელმარჯვნივაც აღმოჩნდება ცარიელი სკამი: „ჩემგან მარჯვნივ დაჯდეს, ის, ვინც/ვისაც...“ და ა.შ.

6. თამაში # 29-4

ლაბირინთი: შევთავაზოთ ბავშვებს, დახატონ რამდენიმე გზა, რომელთაგან ერთი წიწილას საქათმესთან მიიყვანს. სამუშაოს შესრულების შემდეგ ბავშვები წარუდგენენ ნამუშევრებს მეგობრებს და სთხოვენ, რომ იპოვონ სწორი (საქათმისკენ მიმავალი) გზა.

ლექსიკა:

პირდაპირ, მარჯვნივ, მარცხნივ, გზაჯვარედინი, ქუჩა, შეხვევა/მოხვევა, ირგვლიც მდებარე შენობები, ბანკი, პარკი, რესტორანი, ავტობუსის გაჩერება, მოპირდაპირე მხარეს.

საკვანძო წინადადებები/გრამატიკა

- უკაცრავად, სად არის ფეხბურთის სტადიონი?
- ფეხბურთის სტადიონი არის აკაკი წერეთლის გამზირზე
- როგორ მოვხვდეთ აკაკი წერეთლის გამზირზე?
- იარეთ პირდაპირ და გზაჯვარედინზე შეუხვიეთ მარჯვნივ
- სტადიონი ავტობუსის შემდეგი გაჩერების მოპირდაპირე მხარესაა.

თანდებულები ადგილმდებარეობის მისათითებლად

- ავტობუსის გაჩერების **მოპირდაპირე მხარეს**

- რესტორნის **გვერდით**

კითხვითი წინადადებები

- **სად** არის სტადიონი?
- **როგორ მოვხვდე** სტადიონზე?

მიმართულებების მიცემა

- იარე **პირდაპირ**
- შეუხვიე **მარჯვნივ**
- **დაუყევი/აუყევი** ქუჩას

რესურსი:

ნახატი-რუკა სტადიონამდე მისასვლელი გზით.

ადამიანის გამოსახულება მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან, ზემოთ, ქვემოთ მიმართებების ასახვით.